სამოტივაციო სისტემების პრაქტიკა და გაუმჯობესების გზები საქართველოს კერძო სექტორში (სასტუმრო ინდუსტრია)

მინდია გოგოჭური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, მენეჯერის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი): მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი ჭანუყვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მინდია გოგოჭური 19.06.2021 წ.“

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამოტივაციო სისტემების პრაქტიკასა და გაუმჯობესების გზებს საქართველოს კერძო სექტორში, სასტუმრო ინდუსტრიის მაგალითზე. თემის აქტუალურობა განპირობებულია დღესდღეობით არსებული რეალობით, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ მუდმივად კონკურენტულ პირობებში ოპერირებისას ორგანიზაციული წარმატების მისაღწევად დღითდღე უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომელთა მოტივირებას.

მოტივირებულ თანამშრომელზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირება, შესაძლოა გვქონდეს კარგად აწყობილი ორგანიზაციული სტრუქტურა, მაგრამ დაქირავებულთა არასათანადო მოტივირებისა და ამ სტრუქტურასთან მათი შეუსაბამობაში ყოფნის გამო, უარყოფით შედეგებს ვიღებდეთ. სწორედ ამიტომ მოტივაციის თეორიების ეფექტურად გამოყენებას და მით უფრო დაქირავებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე სამოტივაციო სქემების მორგებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმატებულ ორგანიზაციებში და უშუალოდ საკითხიც არაერთი კვლევის ინტერესის ობიექტია.

ნაშრომის შესავალში განხილულია ის ფაქტორები, რომლითაც განპირობებულია თემის აქტუალობა და რის გამოც შეირჩა ხსენებული საკითხი კვლევის ობიექტად. გარდა ამისა, აღწერილია შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია, ასევე კვლევის მიზნები და ამოცანები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში, მიმოვიხილავთ იმ რამდენიმე საბაზისო და მნიშვნელოვან მოტივაციის თეორიას, რომლებიც თითქმის ყველა ორგანიზაციაში გვხვდება გარკვეული სახით, ასევე, განვიხილავთ თუ როგორ ხდება მოტივაციების თეორიის გამოყენება ორგანიზაციებში დასაქმებულთა მოტივაციის გასაუმჯობესებლად.

დამატებით მიმოვიხილვათ საქართველოს კერძო სექტორში ამ დროისათვის არსებულ მდგომარეობას სამოტივაციო სისტემების დანეერგვისა და გამოყენების კუთხით.

კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში განვიხილავთ ჩვენს მიერ შერჩეულ კვლევის სახეობებს, მოვახდენთ ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული რეზულტატის ანალიზს, რომლის საფუძველზეც, საბოლოოდ შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები.

დასკვნაში მიმოვიხილავთ იმ ძირითად პრობლემებს, რომლის წინაშეც დგას დარგი მოტივაციის თეორიების გამოყენების კუთხით და წარმოვადგენთ იმ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც მენეჯერებს შესაძლებლობა ექნებათ მოახდინონ თანამშრომელთა სამომავლო განვითარება და ორგანიზაციული კულტურის მაქსიმალური სრულყოფა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოტივაცია; მოტივაციის თეორიები; მოტივირებული თანამშრომელი; ორგანიზაციული წარმატება; ფინანსური სტიმულირების სქემები.

Abstract

Master Thesis is about the practical use of motivation theories and its improvement in private sector of Georgia which is further discussed on the example of hotel industry.

The relevance of the topic is due to the existing reality, taking into account the factors that increase the importance of employee motivation for the organizational success in a constantly competitive environment.

The effective functioning of the organization is highly depend on motivated employees, that is why the effective application of motivation theories and motivation schemes to the individual needs of employees is of great importance in successful organizations.

In the introduction of the thesis we discuss the main factors that determine the relevance of the research object. Also we describe the research methodology, research goals and objectives.

In reviewing the scientific literature, we review the basic and popular motivation theories and its practical realization which is of great importance.

In addition, we talk about the current situation in the Georgian private sector in terms of the use and implementation of motivation systems.

In the research methodology section, we discuss the qualitative and quantitative researches which are conducted by us in the different hotels, as well as the analysis of the results obtained from the studies.

In the conclusion we review the main problems related to the practical implementation of motivation theories and also we developed the recommendations which will allow managers to increase employee motivation and improve organizational culture.

Key words: Motivation; Motivation theories; Motivated employees; Organizational success; Financial Incentive schemes.